მაგიურობა, როგორც მეხსიერებით კოსტრუირებული ტრავმის გააზრება ზაზა თვარაძის შემოქმედებაში

ანდრო ყირიმელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე, ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

ზაზა თვარაძის ხსოვნას

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს, მეგობრებს, ლექტორებს, თანაკურსელებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირე წვლილი შეიტანა ამ ნაშრომის შექმნაში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი დედაჩემს, თეა პავლიაშვილს იმისთვის, რომ ყოველთვის სჯეროდა ჩემი შესაძლებლობების.

გამორჩეული მადლობა მეკო მეტრეველს, რადგან ყოველთვის ვგრძნობდი მის მხარდაჭერას ნაშრომზე მუშაობის პერიოდში და არამხოლოდ.

მადლობას ვუხდი ჩემს სამაგისტრო ხელმძღვანელს, სალომე პატარიძეს, მნიშვნელოვანი პროფესიული რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობისა და გამორჩეული უნარების მქონე ლექტორს, სწორედ მისი დამსახურებაა ამ ნაშრომის ამ სახით არსებობა.

მადლობა ზაზა თვარაძეს, შთაგონებისთვის. მადლობა მას გამბედაობისთვის, რომ ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს პერიოდში შეექმნა ყოვლად გამორჩეული და მნიშვნელოვანი ტექსტები. მადლობა მას იმ ტექსტებისთვის, რომლებმაც საშუალება მომცა ახლებურად გადამეაზრებინა 90-იანი წლების ეროვნული ტრაგედია და საკუთარ თავზე განმეცადა ადამიანთა ყოვლად ტრაგიკული და მძიმე ტრავმები. ზაზა თვარაძის შემოქმედებამ მიმახვედრა, რომ ნამდვილად შესაძლებელია პატარა ქვეყანაში დიდი ლიტერატურის წერა, როგორც ამას თავადვე იტყოდა.

ნაშრომს ვუძღვნი ბებიას, მედიკო ცერცვაძეს, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ მიკითხავდა პატარა ამბებს წიგნებიდან, როცა თავად არ შემეძლო კითხვა. მადლობა მას იმისთვის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მასწავლა ცხოვრებაში.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე ქართველი ავტორის - ზაზა თვარაძის პროზიდან რომანი - *სიტყვები* და მოთხრობები: *მოხეტიალე, ბინები, წითელი ძაღლები, სალომე.* აღნიშნულ ტექსტებში შესწავლილია ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმები, იდენტობის კრიზისი და მაგიური რეალიზმის ნიშნები.

ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს თუ რა როლი აქვს მეხსიერების რეკონსტრუქციას ჩამოშლილი იდენტობის აღდგენის პროცესში, დადგინდეს თუ როგორ გამოიხატება 80-90-იან წლების თბილისში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, განხილულ იქნას კოლექტიური ტრავმის გამოვლენის ნიშნები და შედეგები, გამოვლინდეს საკვლევ ტექსტებში მაგიური რეალიზმის ნიშნები და მათი მიზნობრიობა, ასევე რომანში "სიტყვები" ჯადოსნური სიტყვების სიმბოლოს განსაზღვრა.

საკვლევი ტექსტების ანალიზი ეყრდნობა ჯეფრი ალექსანდერის ნაშრომს *კულტურული ტრავმა და კოლექტიური იდენტობა,* რაც აღწერს ინდივიდუალური და კულტურული ტრავმების ხასიათს, გამოვლინებას და წარმოქმნის მიზეზებს კოლექტიურ ერთობაში. მეხსიერების ფენომენის შესასწავლად გამოყენებულია ფრანგი მეცნიერების მორის ჰალბვაქსის *კოლექტიური მეხსიერება* და პიერ ნორას *მეხსიერების ადგილები*, ასევე განხილულია ზიგმუნდ ფროიდის კვლევები ტრავმისა და სიზმრების შესახებ, ვინაიდან თვარაძის ტექსტებში ტრავმის გამოვლინების სახედ ძირითად შემთხვევაში სწორედ სიზმრები გვევლინება. მაგიური რეალიზმის მახასიათებლების წარმოსაჩენად გაანალიზებულია ალეხო კარპენტიერის ესეები მაგიური რეალიზმის შესახებ. ასევე დამატებით გაანალიზებულია ქართულ პროზაში მაგიური რეალიზმის ქართველი მკვლევრის თათია ობოლაძი სამეცნიერო ნაშრომი.

საკვლევი ტექსტების ანალიზისას დადგინდა, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ორი დეკადის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი თბილისში გამოვლინდა კოლექტიური ტრავმისა და იდენტობის კრიზისის სახით, რასაც თაობათა გაუცხოება და მძიმე კოლექტიური დეპრესია მოყვა. ანალიზის საფუძველზე, ზაზა თვარაძის შემოქმედებაში ნაწილობრივ იკვეთება მაგიური რეალიზმისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რასაც ავტორი ქვეყანაში შექმნილი პარადოქსული მდგომარეობის აღსაწერად იყენებს.

საკვანძო სიტყვები: კოლექტიური ტრავმა, იდენტობის კრიზისი, მეხსიერების რეკონსტრუქცია, მოგონების ადგილები, სიზმრები, 90-იანი წლები, მაგიური რეალიზმი.

Abstract

This master's thesis is an attempt to study individual and collective traumas, identity crisis and signs of magical realism in the prose of the modern Georgian author - Zaza Tvaradze - *Words, Wanderer, Apartments, Red dogs, Salome.*

The aim of the work is to analyze the role of memory reconstruction in the process of rebuilding a collapsed identity, also, to determine how the socio-political events of the 80s-90s in Tbilisi are manifested, to discuss the signs and consequences of collective trauma, to identify the signs of magical realism in the research texts and their purpose, as well as the definition of the symbol of magic words in the novel "Words".

The analysis of the research texts is based on Jeffrey Alexander's work *Cultural Trauma and Collective Identity*, which describes the nature, manifestation and causes of individual and cultural traumas in collective unity. To study the phenomenon of memory, French scientists Maurice Halbwachs's *Collective memory* and Pierre Nora's *Places of memory* are used, and Sigmund Freud's studies on trauma and dreams are discussed, since in Tvaradze's texts, dreams are the main manifestation of trauma. Based on the fact that one of the goals of the work is to reveal the forms of magical realism in the research texts and explain their purpose, the essays of one of the founders of magical realism, Alejo Carpentier, about magical realism were objectively selected, and there is also used a Georgian researcher Tatia Oboladze's work about magical realism in Georgian prose.

During the analysis of the research texts, it was established that the severe socio-political crisis of the last two decades of the twentieth century was manifested in Tbilisi in the form of collective trauma and identity crisis, which was followed by generational alienation and severe collective depression. In the work of Zaza Tvaradze, the signs of

magical realism can be seen, which the author uses to describe the paradoxical situation created in the country.

Keywords: Collective trauma; Identity crisis, Memory reconstruction, Zaza Tvaradze, Places of memories, Dreams, 90s, Magical realism.